

**სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები**  
**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
საანგარიშგებო წლისთვის

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... | 3 |
|---------------------------------------|---|

### **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....         | 7  |
| სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....               | 8  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... | 9  |
| ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....               | 10 |

### **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                       | 11 |
| 2. მომზადების საფუძვლები.....                                    | 11 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....            | 14 |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 22 |
| 5. წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები .....           | 23 |
| 6. ძირითადი საშუალებები.....                                     | 26 |
| 7. საინვესტიციო ქონება .....                                     | 27 |
| 8. მარაგები .....                                                | 28 |
| 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                               | 28 |
| 10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....                             | 29 |
| 11. სააქციო კაპიტალი.....                                        | 30 |
| 12. მიღებული სესხები.....                                        | 30 |
| 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                          | 31 |
| 14. ამონაგები .....                                              | 31 |
| 15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება .....                  | 32 |
| 16. სხვა შემოსავალი.....                                         | 32 |
| 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                      | 33 |
| 18. გაყიდვის დანახარჯები .....                                   | 33 |
| 19. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი .....              | 33 |
| 20. სხვა ხარჯები .....                                           | 33 |
| 21. ოპერაციები მფლობელებთან .....                                | 34 |
| 22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....               | 34 |
| 23. კაპიტალის მართვა .....                                       | 38 |
| 24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                     | 39 |
| 25. პირობითი ვალდებულებები.....                                  | 40 |
| 26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....               | 40 |

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

### **სს სარაჯიშვილის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას**

#### **პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს სარაჯიშვილის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

#### **პირობითი მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები გასულ პერიოდებში წარმოებული ბრენდის სითხის თვითღირებულებაზე, რომლის საბალანსო ღირებულებაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 9,928,490 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. შესაბამისად, ვერ დავაკვირდით აღნიშნულ თარიღში ჩატარებულ სალაროს ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული ნაღდი ფულის ნაშთის სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული იყო 341,433 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. ჩვენი მოსაზრება აგრეთვე მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის რიცხვებისა და შესაბამისი რიცხვების შესადარისობაზე.

## აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, დავადგინეთ, რომ “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა, ქვემოთ განხილული საკითხებიც აუდიტის ძირითადი საკითხებია, რომელთა შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

| აუდიტის ძირითადი საკითხები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      | შესაბამისი აუდიტორული პროცედურები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დასაშვები საწყისი ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p>იმის გამო, რომ ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები არ იძლეოდა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულების შესახებ სწორ ინფორმაციას, ჯგუფმა შეაფასა აღნიშნული აქტივები ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი) და გამოიყენა შეფასებული (რეალური) ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.</p> <p>აქტივების შეფასება გაკეთდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.</p> <p>ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასება არის აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი, რადგან ქონების შეფასება დაფუძნებულია შემფასებლის პროფესიულ ცოდნაზე, მსჯელობასა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე.</p> <p>ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასებისა და შეფასებული ღირებულების დასაშვებ საწყის ღირებულებად გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3, მე-6 და მე-7 შენიშვნებში.</p> | <p>ჩვენ, აუდიტის გუნდში ჩავრთეთ უძრავი/მოძრავი ქონების შეფასების სპეციალისტები.</p> <p>სპეციალისტებმა შეაფასეს ჯგუფის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების კომპეტენტურობა და ობიექტურობა, განიხილეს და გაანალიზეს გამოყენებული დაშვებები და შეამოწმეს გარე შემფასებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები.</p> <p>აუდიტის გუნდში ჩართულმა სპეციალისტებმა შეამოწმეს ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა შეფასებული აქტივი. სხვა შეფასებული აქტივების შესამოწმებლად გამოიყენეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპი.</p> <p>ასევე, განვიხილეთ რამდენად არის აღიარებული შეფასების შედეგები როგორც ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების დასაშვები საწყისი ღირებულებები და მიმოვიხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.</p> |

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 ოქტომბერი 2019

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 ოქტომბერი 2019

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

|                                       | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი 2017<br>გადაანგარიშებული* | 1 იანვარი 2017<br>გადაანგარიშებული* |
|---------------------------------------|----------|----------------------|----------------------------------------|-------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                      |                                        |                                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                      |                                        |                                     |
| ძირითადი საშუალებები                  | 6        | 24,670,014           | 28,288,372                             | 28,732,295                          |
| საინვესტიციო ქონება                   | 7        | 6,663,500            | 6,731,052                              | 6,798,604                           |
| ბიოლოგიური აქტივები                   |          | 238,275              | 238,275                                | 238,275                             |
| არამატერიალური აქტივები               |          | 10,925               | 48,854                                 | 56,579                              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>31,582,714</b>    | <b>35,306,553</b>                      | <b>35,825,753</b>                   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |          |                      |                                        |                                     |
| მარაგები                              | 8        | 29,489,063           | 24,632,811                             | 24,151,635                          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 9        | 16,819,966           | 11,594,992                             | 12,086,263                          |
| გაცემული სესხები                      |          | 85,916               | 106,990                                | 91,113                              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 10       | 863,018              | 369,866                                | 71,047                              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>47,257,963</b>    | <b>36,704,659</b>                      | <b>36,400,058</b>                   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>78,840,677</b>    | <b>72,011,212</b>                      | <b>72,225,811</b>                   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                      |                                        |                                     |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                      |                                        |                                     |
| სააქციო კაპიტალი                      | 11       | 10,354,000           | 10,354,000                             | 10,354,000                          |
| გაუნაწილებელი მოგება                  |          | 43,590,169           | 43,010,273                             | 38,524,271                          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>53,944,169</b>    | <b>53,364,273</b>                      | <b>48,878,271</b>                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                      |                                        |                                     |
| მიღებული სესხები                      | 12       | 14,272,076           | 7,450,082                              | 11,750,181                          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>14,272,076</b>    | <b>7,450,082</b>                       | <b>11,750,181</b>                   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          |                      |                                        |                                     |
| მიღებული სესხები                      | 12       | 5,462,166            | 9,662,064                              | 6,798,917                           |
| საგადასახადო ვალდებულება              |          | 304,203              | 174,290                                | 195,637                             |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 13       | 4,858,063            | 1,360,503                              | 4,602,805                           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>10,624,432</b>    | <b>11,196,857</b>                      | <b>11,597,359</b>                   |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>78,840,677</b>    | <b>72,011,212</b>                      | <b>72,225,811</b>                   |

\*წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი \_\_\_\_\_ ზურაბ ბუბუტიშვილი

მთავარი ბუღალტერი \_\_\_\_\_ გიორგი ბუბუტიშვილი

11-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სარაჯიშვილი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

|                                       |    | 31 დეკემბერი<br>შენიშვნა 2018 | 31 დეკემბერი 2017<br>გადაანგარიშებული* | 1 იანვარი 2017<br>გადაანგარიშებული* |
|---------------------------------------|----|-------------------------------|----------------------------------------|-------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |    |                               |                                        |                                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |    |                               |                                        |                                     |
| ძირითადი საშუალებები                  | 6  | 24,670,014                    | 28,288,372                             | 28,732,295                          |
| საინვესტიციო ქონება                   | 7  | 6,663,500                     | 6,731,052                              | 6,798,604                           |
| ბიოლოგიური აქტივები                   |    | 238,275                       | 238,275                                | 238,275                             |
| არამატერიალური აქტივები               |    | 10,925                        | 48,854                                 | 56,579                              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |    | <b>31,582,714</b>             | <b>35,306,553</b>                      | <b>35,825,753</b>                   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |    |                               |                                        |                                     |
| მარაგები                              | 8  | 29,489,063                    | 24,632,811                             | 24,151,635                          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 9  | 16,819,966                    | 11,594,992                             | 12,086,263                          |
| გაცემული სესხები                      |    | 85,916                        | 106,990                                | 91,113                              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 10 | 863,018                       | 369,866                                | 71,047                              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |    | <b>47,257,963</b>             | <b>36,704,659</b>                      | <b>36,400,058</b>                   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |    | <b>78,840,677</b>             | <b>72,011,212</b>                      | <b>72,225,811</b>                   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |    |                               |                                        |                                     |
| <b>კაპიტალი</b>                       |    |                               |                                        |                                     |
| სააქციო კაპიტალი                      | 11 | 10,354,000                    | 10,354,000                             | 10,354,000                          |
| გაუნაწილებელი მოგება                  |    | 43,590,169                    | 43,010,273                             | 38,524,271                          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |    | <b>53,944,169</b>             | <b>53,364,273</b>                      | <b>48,878,271</b>                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |    |                               |                                        |                                     |
| მიღებული სესხები                      | 12 | 14,272,076                    | 7,450,082                              | 11,750,181                          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |    | <b>14,272,076</b>             | <b>7,450,082</b>                       | <b>11,750,181</b>                   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |    |                               |                                        |                                     |
| მიღებული სესხები                      | 12 | 5,462,166                     | 9,662,064                              | 6,798,917                           |
| საგადასახადო ვალდებულება              |    | 304,203                       | 174,290                                | 195,637                             |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 13 | 4,858,063                     | 1,360,503                              | 4,602,805                           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |    | <b>10,624,432</b>             | <b>11,196,857</b>                      | <b>11,597,359</b>                   |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |    | <b>78,840,677</b>             | <b>72,011,212</b>                      | <b>72,225,811</b>                   |

\*წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი  ზურაბ ბუბუტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი  გიორგი ბუბუტეიშვილი

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                                  | შენიშვნა | 2018              | 2017<br>გადაანგარიშებული* |
|--------------------------------------------------|----------|-------------------|---------------------------|
| ამონაგები                                        | 14       | 29,683,105        | 24,250,693                |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება            | 15       | (14,060,740)      | (10,991,236)              |
| <b>საერთო მოგება</b>                             |          | <b>15,622,365</b> | <b>13,259,457</b>         |
| სხვა შემოსავალი                                  | 16       | 1,772,675         | 2,264,946                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                | 17       | (4,162,286)       | (3,259,804)               |
| გაყიდვის დანახარჯები                             | 18       | (1,856,610)       | (1,473,506)               |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი        | 19       | (1,743,659)       | (1,530,716)               |
| ვენახის მოვლის ხარჯები                           |          | (354,654)         | (603,049)                 |
| სხვა ხარჯები                                     | 20       | (610,198)         | (1,142,980)               |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                         |          | <b>8,667,633</b>  | <b>7,514,348</b>          |
| წმინდა ფინანსური ხარჯი                           |          | (816,470)         | (976,701)                 |
| წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან |          | 170,022           | (253,548)                 |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                        |          | <b>8,021,185</b>  | <b>6,284,099</b>          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                        |          | (121,595)         | (111,387)                 |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                  |          | <b>7,899,590</b>  | <b>6,172,712</b>          |

მოგება ერთ აქციაზე:

- საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე **4.36** **3.40**

\*წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                              | სააქციო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ               |
|----------------------------------------------|---------------------|-------------------------|-------------------|
| <b>1 იანვარი 2017 (გადაანგარიშებული*)</b>    | <b>10,354,000</b>   | <b>38,524,271</b>       | <b>48,878,271</b> |
| დივიდენდები                                  | -                   | (1,686,710)             | (1,686,710)       |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი                | -                   | 6,172,712               | 6,172,712         |
| <b>31 დეკემბერი 2017 (გადაანგარიშებული*)</b> | <b>10,354,000</b>   | <b>43,010,273</b>       | <b>53,364,273</b> |
| დივიდენდები                                  | -                   | (4,019,694)             | (4,019,694)       |
| ოპერაციები მფლობელებთან (21-ე შენიშვნა)      | -                   | (3,300,000)             | (3,300,000)       |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი                | -                   | 7,899,590               | 7,899,590         |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>                     | <b>10,354,000</b>   | <b>43,590,169</b>       | <b>53,944,169</b> |

\*წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

11-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                                            | შენიშვნა | 2018               | 2017<br>გადაანგარიშებული* |
|----------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|---------------------------|
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                           |          |                    |                           |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>                                                   |          | <b>8,021,185</b>   | <b>6,284,099</b>          |
| <b>კორექტირებები:</b>                                                      |          |                    |                           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                       | 15, 17   | 1,072,675          | 996,753                   |
| საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება                                      | 17       | 619,257            | 594,165                   |
| წმინდა მარაგების ჩამოწერა                                                  |          | 354,201            | 581,092                   |
| წმინდა ფინანსური ხარჯი                                                     |          | 816,470            | 976,701                   |
| წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან                             |          | (68,381)           | (102,529)                 |
| წმინდა (მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან                              |          | (170,022)          | 253,548                   |
| <b>ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</b>                      |          | <b>10,645,385</b>  | <b>9,583,829</b>          |
| <b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:</b>                                      |          |                    |                           |
| მარაგები                                                                   |          | (5,210,453)        | (1,062,268)               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                 |          | (5,558,476)        | (135,655)                 |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                 |          | 129,913            | (21,347)                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                              |          | 497,741            | (2,062,186)               |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>                   |          | <b>504,110</b>     | <b>6,302,373</b>          |
| გადახდილი პროცენტები                                                       |          | (796,802)          | (978,445)                 |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                               |          | (121,595)          | (111,387)                 |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები</b>   |          | <b>(414,287)</b>   | <b>5,212,541</b>          |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>                         |          |                    |                           |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                               |          | (1,713,394)        | (556,638)                 |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                                           |          | 4,432,939          | 181,325                   |
| გაცემული სესხებიდან შემოსული თანხები                                       |          | 23,783             | 46,675                    |
| სესხების გაცემა                                                            |          | -                  | (53,540)                  |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები</b> |          | <b>2,743,328</b>   | <b>(382,178)</b>          |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:</b>                            |          |                    |                           |
| სესხების მიღება                                                            |          | 81,272,309         | 37,140,151                |
| სესხების დაფარვა                                                           |          | (78,724,194)       | (38,545,560)              |
| გადახდილი დივიდენდები                                                      |          | (3,047,995)        | (2,797,450)               |
| ოპერაციები მფლობელებთან                                                    |          | (1,281,475)        | -                         |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>           |          | <b>(1,781,355)</b> | <b>(4,202,859)</b>        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების ზრდა</b>                                        |          | <b>547,686</b>     | <b>627,504</b>            |
| <b>ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის</b>                                 |          | <b>369,866</b>     | <b>71,047</b>             |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე                    |          | (54,534)           | (328,685)                 |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის</b>                                      |          | <b>863,018</b>     | <b>369,866</b>            |

\*წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

11-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს სარაჯიშვილისა (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

მშობელი კომპანია დაარსდა 1994 წლის 15 ივლისს, როგორც სააქციო საზოგადოება. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 209444065.

მშობელი კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების წარმოება და ვაჭრობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

მშობელ კომპანიას ჰყავს ორი შვილობილი - შპს გეო ალკო და შპს სარაჯიშვილი დისტილერი, რომლებშიც ფლობს წილის 100%-ს.

შპს გეო ალკო დაფუძნდა 2014 წლის 10 თებერვალს. კომპანიის ძირითად საქმიანობა ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა და წარმოებაა. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით - 400111302.

შპს სარაჯიშვილი დისტილერი დაფუძნდა 2014 წლის 27 თებერვალს. კომპანიის ძირითად საქმიანობას ალკოჰოლური სასმელების გადამამუშავება წარმოადგენს. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით - 405032049.

სს სარაჯიშვილი წარმოადგენს ზემოთ მოცემული საწარმოების მშობელ კომპანიას, რომლებიც ერთად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“.

ჯგუფს მართავს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორატს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ჯგუფის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

ჯგუფის მისამართია: საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი #4.

## 2. მომზადების საფუძვლები

### ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის ჯგუფის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ჯგუფის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. ჯგუფი არ იყენებს სხვა ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად (მე-3 შენიშვნა).

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითად საშუალებებში და საინვესტიციო ქონებაში აღრიცხული აქტივების ნაწილისა, რაზეც ჯგუფმა ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.

### კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც მშობელ კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

მშობელი კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც მშობელი კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც მშობელი კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცითება.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

- ფასს 16 - იჯარა

#### ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### ფინანსური ინსტრუმენტები

##### ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2017 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

##### ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროსა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

##### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.



### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2017 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

#### ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ურთიერთგაქვითული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთთავალს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

#### რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თუმცა, იმის გამო, რომ მიწის, შენობების, მანქანა-დანადგარების, მუხის კასრებისა და მრავალწლოვანი ნარგავების ჯგუფებში შემავალ ზოგიერთ აქტივზე არსებული სააღრიცხვო ჩანაწერები არ იძლეოდა ამ ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების შესახებ სწორ ინფორმაციას, ჯგუფმა ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი) აღნიშნული აქტივებისთვის გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

| ჯგუფი                              | მომსახურების ვადა (წელი) |
|------------------------------------|--------------------------|
| მიწა                               | არ ცვდება                |
| შენობა-ნაგებობები                  | 20-50                    |
| მანქანა-დანადგარები                | 10                       |
| მუხის კასრები                      | 5-20                     |
| ავეჯი და ინვენტარი                 | 7                        |
| კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა | 5                        |
| სატრანსპორტო საშუალებები           | 10                       |
| ვენახები                           | 25                       |
| სხვა                               | 5-10                     |

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს. საინვესტიციო ქონება ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თუმცა, იმის გამო, რომ ზოგიერთ აქტივზე არსებული სააღრიცხვო ჩანაწერები არ იძლეოდა ამ საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულების შესახებ სწორ ინფორმაციას, ჯგუფმა ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი) აღნიშნული აქტივებისთვის გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.

საინვესტიციო ქონებაზე, გარდა მიწისა, ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწრას. ცვეთა საინვესტიციო ქონების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. შენობა-ნაგებობების სასარგებლო მომსახურების ვადები 20-დან 50-წლამდეა.

საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

#### ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღიარდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 25 წელს.

ბიოლოგიური აქტივები გარდა მრავალწლიანი ნარგავებისა საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

#### დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

#### მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

#### გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

#### შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ბრენდისა და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

#### ამონაგები ბრენდის და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაციიდან

ჯგუფი ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

ჯგუფის რეალიზაციის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონსიგნაციას, შესაბამისად, ჯგუფი დისტრიბუტორისთვის პროდუქციის მიწოდებისას ამონაგებს აღიარებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული მხარე არ წარმოადგენს საბოლოო მომხმარებელს.

ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება საბითუმოდ. საბითუმო რეალიზაციის შემთხვევაში, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შესყიდული პროდუქციის უკან დაბრუნების უფლებას.

#### სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მოსალოდნელი ცვლადი ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბრუნვაზე მიბმულ ფასდაკლებაზე, ამცირებს მოსალოდნელ საკონტრაქტო ამონაგებს. ბრუნვაზე მიბმული ფასდაკლების პირობით პროდუქციის მიწოდებისას ჯგუფი შემოსავალს აღიარებს იმ მოცულობით, რომელსაც მაღალი ალბათობით არ მოუწევს უკუგატარება, როდესაც დადგინდება შეთავაზებული ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა.

#### შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწვევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

#### სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს რწმუნება იმის შესახებ, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და შემოსავლის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება ოპერაციის პერიოდში.

#### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

#### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

|                            | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------|------------|--------|
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766     | 3.0701 |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.5922     | 3.1044 |
| 2017 წლის 1 იანვრისთვის    | 2.6468     | 2.7940 |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

#### პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

#### იჯარით მიღებული აქტივები

თუ იჯარით მიღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა კომპანიას („ფინანსური იჯარა“), აქტივი განიხილება ისე, როგორც პირდაპირ შეძენილი. თავდაპირველად აქტივად აღიარებული ღირებულება არის უმცირესი აქტივის რეალურ ღირებულებასა და იჯარის პერიოდის მანძილზე გადასახდელ საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებას შორის. შესაბამისი საიჯარო ვალდებულება ნაჩვენებია, როგორც ვალდებულება. საიჯარო გადასახადების ანალიზი ხდება კაპიტალსა და პროცენტებს შორის. საპროცენტო ელემენტი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის პერიოდის მანძილზე და გამოითვლება ისე, რომ იგი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულების მუდმივ პროპორციას. კაპიტალის ელემენტები ამცირებს მეიჯარის მიმართ ვალდებულების ბალანსს.

თუ საიჯარო აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი არ გადაეცემა ჯგუფს („საოპერაციო იჯარა“), იჯარაზე გადახდილი თანხები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით სრულ საიჯარო პერიოდის მანძილზე. ჯამური საიჯარო სარგებელი აღიარდება საიჯარო ხარჯის შემცირებად ლიზინგის პერიოდის მანძილზე, წრფივ საფუძველზე.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე, მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოადგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

##### დასაშვები საწყისი ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

იმის გამო, რომ ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები არ იძლევა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულების შესახებ სწორ ინფორმაციას, ფასს 1-ის თანახმად ჯგუფს შეუძლია შეაფასოს ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის და გამოიყენოს შეფასებული (რეალური) ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. ჯგუფმა 2017 წლის 1 იანვარს გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

##### ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამკვლევას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

##### არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

##### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.



სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

**5. წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები**

წინა წლების კორექტირებების და რეკლასიფიკაციების ეფექტი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                           | 31 დეკემბერი 2017<br>გადაანგარიშებამდე | კორექტირება | რეკლასიფიკაცია | 31 დეკემბერი 2017<br>გადაანგარიშებული |
|-----------------------------------------------------------|----------------------------------------|-------------|----------------|---------------------------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b> |                                        |             |                |                                       |
| ძირითადი საშუალებები*                                     | 7,330,071                              | 20,958,301  | -              | 28,288,372                            |
| საინვესტიციო ქონება*                                      | 10,297,497                             | (3,566,445) | -              | 6,731,052                             |
| ბიოლოგიური აქტივები                                       | 275,474                                | (37,199)    | -              | 238,275                               |
| მარაგები**                                                | 25,573,454                             | (940,643)   | -              | 24,632,811                            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები***                             | 12,997,402                             | (971,515)   | (430,895)      | 11,594,992                            |
| გაცემული სესხები                                          | -                                      | -           | 106,990        | 106,990                               |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                               | 366,318                                | 3,548       | -              | 369,866                               |
| გაუნაწილებელი მოგება                                      | 29,629,606                             | 13,380,667  | -              | 43,010,273                            |
| მიღებული სესხები****                                      | 15,463,603                             | 1,648,543   | -              | 17,112,146                            |
| საგადასახადო ვალდებულება                                  | 185,718                                | (11,428)    | -              | 174,290                               |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                             | 1,256,145                              | 428,263     | (323,905)      | 1,360,503                             |
| <b>სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b>       |                                        |             |                |                                       |
| ამონაგები                                                 | 24,573,600                             | 113,660     | (436,567)      | 24,250,693                            |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                     | (10,786,498)                           | 18,254      | (222,992)      | (10,991,236)                          |
| სხვა შემოსავალი                                           | 1,742,286                              | 227,479     | 295,181        | 2,264,946                             |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები*****                    | (2,517,968)                            | (642,749)   | (99,087)       | (3,259,804)                           |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი                 | (1,732,491)                            | (127,281)   | 329,056        | (1,530,716)                           |
| გაყიდვის დანახარჯები                                      | (1,236,969)                            | (229,560)   | (6,977)        | (1,473,506)                           |
| ვენახის მოვლის ხარჯები*****                               | -                                      | (603,049)   | -              | (603,049)                             |
| სხვა ხარჯები                                              | (883,311)                              | (268,957)   | 9,288          | (1,142,980)                           |
| წმინდა ფინანსური ხარჯი                                    | (921,210)                              | (187,588)   | 132,097        | (976,701)                             |
| წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან             | (284,398)                              | 30,850      | -              | (253,548)                             |

## სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 5. წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა წლების კორექტირებების და რეკლასიფიკაციების ეფექტი 2017 წლის 1 იანვრის დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                           | 1 იანვარი 2017<br>გადაანგარიშებამდე | კორექტირება | რეკლასიფიკაცია | 1 იანვარი 2017<br>გადაანგარიშებული |
|-----------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------|----------------|------------------------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b> |                                     |             |                |                                    |
| ძირითადი საშუალებები*                                     | 7,054,214                           | 21,678,081  | -              | 28,732,295                         |
| საინვესტიციო ქონება*                                      | 10,502,739                          | (3,704,135) | -              | 6,798,604                          |
| ბიოლოგიური აქტივები                                       | 275,474                             | (37,199)    | -              | 238,275                            |
| მარაგები**                                                | 24,435,417                          | (283,782)   | -              | 24,151,635                         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები***                             | 12,960,074                          | (597,260)   | (276,551)      | 12,086,263                         |
| გაცემული სესხები                                          | -                                   | (11,000)    | 102,113        | 91,113                             |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                               | 69,504                              | 1,543       | -              | 71,047                             |
| გაუნაწილებელი მოგება                                      | 23,474,660                          | 15,049,611  | -              | 38,524,271                         |
| მიღებული სესხები****                                      | 16,577,020                          | 1,972,078   | -              | 18,549,098                         |
| საგადასახადო ვალდებულება                                  | 182,535                             | 13,102      | -              | 195,637                            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                             | 4,765,787                           | 11,456      | (174,438)      | 4,602,805                          |

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფმა გააკეთა რეკლასიფიკაციები, ასევე გაასწორა 2017 წლის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემების ნაწილი აღნიშნულ თარიღებში. ჯგუფმა 2018 წლის ანგარიშგებაში და შესადარის პერიოდებში რეტროსპექტულად დაიკონსოლიდირა შპს სარაჯიშვილი დისტილერი. შპს სარაჯიშვილი დისტილერი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ წარდგენილ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაკონსოლიდირებული არ იყო, შესაბამისად კორექტირებების და რეკლასიფიკაციების ნაწილი გამოწვეულია აღნიშნული შვილობილის დაკონსოლიდირებით. მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია გაშიფრულია შემდეგნაირად:

(\*) ძირითად საშუალებებში და საინვესტიციო ქონებაში აღრიცხულ აქტივზე არსებული სააღრიცხვო ჩანაწერები არ იძლეოდა ამ ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულების შესახებ სწორ ინფორმაციას. ჯგუფმა ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი) 2018 წლის ანგარიშგებაში აღნიშნული აქტივებისთვის გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, შედეგად გადაანგარიშდა 2017 წლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები;

(\*\*) კორექტირება ძირითადად გამოწვეულია შპს სარაჯიშვილის დისტილერის დაკონსოლიდირებით;

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

---

## 5. წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

(\*\*\*) კორექტირება ძირითადად გამოწვეულია გაცემული ავანსების ხარჯებად ჩამოწერისა და გაუფასურების ხარჯის ცვლილებით, ასევე შპს სარაჯიშვილის დისტილერის დაკონსოლიდირებით;

(\*\*\*\*) კორექტირება გამოწვეულია შპს სარაჯიშვილის დისტილერის დაკონსოლიდირებით;

(\*\*\*\*\*) ადმინისტრაციული ხარჯების ცვლილება ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ცვლილებით, ასევე შპს სარაჯიშვილის დისტილერის დაკონსოლიდირებით;

(\*\*\*\*\*) 2017 წლის განმავლობაში ვენახზე დაკაპიტალიზებული მიმდინარე ხარჯები ჩამოიწერა ძირითადი საშუალებებიდან.

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება                                    | მიწა        | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | მუხის<br>კასრები | ავეჯი და<br>ინვენტარი | კომპიუტერები<br>და ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ვენახები    | სხვა      | სულ          |
|---------------------------------------------------------|-------------|-----------------------|-------------------------|------------------|-----------------------|------------------------------------------|-----------------------------|-------------|-----------|--------------|
| 2017 წლის 1 იანვრისთვის                                 | 10,989,251  | 18,816,841            | 3,353,743               | 2,546,134        | 640,187               | 642,055                                  | 835,072                     | 3,712,264   | 137,380   | 41,672,927   |
| შეძენა                                                  | -           | 16,129                | 120,587                 | 186,219          | 36,229                | 77,656                                   | 142,566                     | -           | 3,518     | 582,904      |
| რეალიზება                                               | -           | (3,394)               | (69,099)                | (19,252)         | -                     | (1,669)                                  | (78,148)                    | -           | -         | (171,562)    |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის                              | 10,989,251  | 18,829,576            | 3,405,231               | 2,713,101        | 676,416               | 718,042                                  | 899,490                     | 3,712,264   | 140,898   | 42,084,269   |
| შეძენა                                                  | -           | 9,247                 | 285,969                 | 588,786          | 84,308                | 67,323                                   | 878,971                     | -           | 215,822   | 2,130,426    |
| რეალიზება                                               | (2,002,881) | (48,174)              | -                       | (68,041)         | -                     | (64)                                     | (413,961)                   | (2,505,323) | -         | (5,038,444)  |
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის                              | 8,986,370   | 18,790,649            | 3,691,200               | 3,233,846        | 760,724               | 785,301                                  | 1,364,500                   | 1,206,941   | 356,720   | 39,176,251   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                                  |             |                       |                         |                  |                       |                                          |                             |             |           |              |
| 2017 წლის 1 იანვრისთვის                                 | -           | (10,664,038)          | (1,097,964)             | (89,069)         | (410,468)             | (340,887)                                | (278,162)                   | -           | (60,044)  | (12,940,632) |
| წლის ცვეთის ხარჯი                                       | -           | (175,485)             | (183,855)               | (247,029)        | (34,673)              | (68,548)                                 | (64,849)                    | (138,328)   | (8,998)   | (921,765)    |
| რეალიზებული ძირითადი<br>საშუალებების დაგროვილი<br>ცვეთა | -           | -                     | 13,985                  | 14,089           | -                     | 778                                      | 37,648                      | -           | -         | 66,500       |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის                              | -           | (10,839,523)          | (1,267,834)             | (322,009)        | (445,141)             | (408,657)                                | (305,363)                   | (138,328)   | (69,042)  | (13,795,897) |
| წლის ცვეთის ხარჯი                                       | -           | (175,279)             | (202,660)               | (335,297)        | (44,494)              | (34,331)                                 | (89,122)                    | (82,317)    | (41,623)  | (1,005,123)  |
| რეალიზებული ძირითადი<br>საშუალებების დაგროვილი<br>ცვეთა | -           | 1,471                 | -                       | 67,267           | -                     | 17                                       | 81,612                      | 144,416     | -         | 294,783      |
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის                              | -           | (11,013,331)          | (1,470,494)             | (590,039)        | (489,635)             | (442,971)                                | (312,873)                   | (76,229)    | (110,665) | (14,506,237) |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b>                        |             |                       |                         |                  |                       |                                          |                             |             |           |              |
| 2017 წლის 1 იანვრისთვის                                 | 10,989,251  | 8,152,803             | 2,255,779               | 2,457,065        | 229,719               | 301,168                                  | 556,910                     | 3,712,264   | 77,336    | 28,732,295   |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის                              | 10,989,251  | 7,990,053             | 2,137,397               | 2,391,092        | 231,275               | 309,385                                  | 594,127                     | 3,573,936   | 71,856    | 28,288,372   |
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის                              | 8,986,370   | 7,777,318             | 2,220,706               | 2,643,807        | 271,089               | 342,330                                  | 1,051,627                   | 1,130,712   | 246,055   | 24,670,014   |

## სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით/გირაოთი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. იპოთეკით დატვირთული ქონების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების თარიღებისთვის შესაბამისად შეადგენს 9,088,612 ლარს, 9,074,410 ლარსა და 9,371,645 ლარს.

ჯგუფმა ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის, ძირითადი საშუალებების ნაწილისთვის გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აქტივების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-2 დონის ინფორმაციის საფუძველზე.

#### 7. საინვესტიციო ქონება

| ისტორიული ღირებულება             | მიწის<br>ნაკვეთები | შენობა-<br>ნაგებობები | სულ         |
|----------------------------------|--------------------|-----------------------|-------------|
| 2017 წლის 1 იანვრისთვის          | 3,930,622          | 4,955,350             | 8,885,972   |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის       | 3,930,622          | 4,955,350             | 8,885,972   |
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის       | 3,930,622          | 4,955,350             | 8,885,972   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |                    |                       |             |
| 2017 წლის 1 იანვრისთვის          | -                  | (2,087,368)           | (2,087,368) |
| წლის ცვეთის ხარჯი                | -                  | (67,552)              | (67,552)    |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის       | -                  | (2,154,920)           | (2,154,920) |
ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.



## 24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება  | უმაღლესი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|-----------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*                         | 69,248                  | 605,667                     |
| გაცემული სესხები                                    | -                       | -                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                       | 2,034,995               | 24,964                      |
| <b>სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b> |                         |                             |
| ამონაგები                                           | -                       | 506,521                     |
| სხვა შემოსავალი                                     | -                       | 1,017                       |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი           | (581,302)               | -                           |

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება  | უმაღლესი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|-----------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*                         | -                       | 501,198                     |
| გაცემული სესხები                                    | -                       | 23,783                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                       | 16,470                  | 34,131                      |
| <b>სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b> |                         |                             |
| ამონაგები                                           | -                       | 159,670                     |
| სხვა შემოსავალი                                     | -                       | 763                         |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი           | (600,570)               | -                           |

## 24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული<br>ანგარიშგება | უმაღლესი<br>ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული<br>მხარეები |
|-------------------------------------------------------|----------------------------|--------------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*                           | 55,164                     | 5,517,567                      |

\* სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია ნეტო ღირებულებით. აღნიშნული მოთხოვნების ნაშთი გაუფასურებამდე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 1,080,456 ლარს, 725,411 ლარსა და 5,784,560 ლარს,

## 25. პირობითი ვალდებულებები

**სამართლებრივი დავები** - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

**გადასახადები** - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ჯგუფის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე დაგროვილი მოგება დაბეგრილია წინა საანგარიშგებო პერიოდებში და არ ექვემდებარება ხელმეორედ დაბეგვრას. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის პირობითი საგადასახადო ვალდებულება არის 6,531,521 ლარის ტოლი.

**პირობითი ვალდებულებები** - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი თავდებში უდგას დაკავშირებულ მხარეს 1,272,682 ლარის ბანკის სესხზე საკუთარი აქტივებით (იპოთეკით/გირათი დატვირთული აქტივების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-6, მე-7 და მე-8 განმარტებით შენიშვნებში). ანგარიშგების პერიოდში აღნიშნულ პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით ჯგუფიდან არ მომხდარა ეკონომიკური სარგებლის გასვლა.

## 26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელს ჯგუფმა სრულად დაფარა მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში ზურაბ ბუბუტეიშვილის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,018,525 ლარს. მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 21-ე განმარტებით შენიშვნაში.

# სარაჯიშვილი ჯგუფის

მმართველობის ანგარიშგება  
(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

**დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად**

### **„სარაჯიშვილი“ ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას**

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 22 ოქტომბერს, აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

25 ოქტომბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

### „სარაჯიშვილი“ ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 22 ოქტომბერს, აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

25 ოქტომბერი 2019





SINCE 1884

**SARAJISHVILI**

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

**ს.ს. სარაჯიშვილი**

კონსტრუქციული მმართველობითი  
ანგარიშგება

2018 წელი

# შინაარსი

|                                                                                                              |    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ჩვენ შესახებ -----                                                                                           | 1  |
| პროდუქტები -----                                                                                             | 3  |
| ფინანსური მაჩვენებლები -----                                                                                 | 5  |
| ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ -----                                                           | 8  |
| სავალდებულო სატენდერო შეთავაზებების<br>შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა -----                    | 8  |
| კვლევებისა და განვითარების სფეროში<br>ჩატარებული ღონისძიებები -----                                          | 9  |
| კორპორაციული მართვა -----                                                                                    | 9  |
| სარეალიზაციო ბაზრები -----                                                                                   | 14 |
| კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა<br>და გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან ----- | 15 |
| ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----                                                                     | 15 |
| ანგარიშების მომზადებასა და წარმოდგენაზე<br>პასუხისმგებელი პირები -----                                       | 16 |

# ჩვენ შესახებ

ს.ს. სარაჯიშვილი საქართველოში ღვინის ბრენდისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების უძველესი კომპანიაა, რომელიც დაარსებიდან 135 წელს ითვლის. ფირმა 1884 წელს ქართველმა მეცნიერმა და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა დააფუძნა. მისი მმართველობის პერიოდში ქართულმა ღვინის ბრენდმა, რომელიც იმ დროისათვის ქართული კონიაკის სახელით იყო ცნობილი, აღიარება მოიპოვა როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.




საბჭოთა პერიოდში დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და „თბილისის კონიაკის ქარხანა“ ეწოდა. 1994 წლიდან კომპანია გადავიდა კერძო მფლობელობაში, ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება და სარაჯიშვილის სახელი დაიბრუნა.





2005 წლამდე კომპანია სწრაფი ტემპით იზრდებოდა. მისი მთავარი ბაზარი რუსეთის ფედერაცია იყო. 2006 წლიდან, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის აკრძალვის შემდეგ კომპანია ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ს.ს. სარაჯიშვილის გუნდმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა, რასაც თან სდევდა გარკვეული სტრატეგიული ცვლილებები ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე.



განვითარების ყველა ეტაპზე ჯგუფის მთავარი ამოცანა იყო კომპანიის მდგრადი განვითარების შენარჩუნება, რაც აისახებოდა სანედლეულო ბაზის სწორი პოლიტიკის განსაზღვრაში, სარეალიზაციო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ახალი პროდუქტების შექმნაში, კლასიკური და უნიკალური პროდუქტის საზღვრების შექმნაში და სრულყოფაში, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში, სარეალიზაციო ბაზრებზე პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავებაში.

დღეს ს.ს. სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები სამოცამდე დასახელების პროდუქციას აწარმოებს და 19 ქვეყანაშია წარმოდგენილი. ადგილობრივ ბაზარზე კომპანიას ღვინის ბრენდის გაყიდვებით პირველი ადგილი უკავია. ს.ს. სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები კახეთის რეგიონში ფლობს ფრანგული შარანტის აპარატებით აღჭურვილ თანამედროვე ღვინის სპირტის სახდელ ქარხანას, რაც სანედლეულო ბაზის მაღალ ხარისხს განაპირობებს.



## პროდუქტები

ამჟამად, ჩვენი კომპანია სარაჯიშვილის ბრენდთან ერთად აწარმოებს ისეთი ტიპის ბრენდებს და მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს, როგორებიცაა: დავითი, ივერიონი, გრუმი, ერისთავი, ქართველი, გრუზინსკი. სარაჯიშვილის ბრენდის ქვეშ გაერთიანებულია სამი ხაზი - კლასიკურ, უნიკალურ და ვინტაჟური.

# კლასიკური ხაზი



# LUXURY ხაზი





# ფინანსური მაჩვენებლები

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

|                                       | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი 2017<br>გადაანგარიშებული* | 1 იანვარი 2017<br>გადაანგარიშებული* |
|---------------------------------------|----------|----------------------|----------------------------------------|-------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                      |                                        |                                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                      |                                        |                                     |
| ძირითადი საშუალებები                  | 6        | 24,670,014           | 28,288,372                             | 28,732,295                          |
| საინვესტიციო ქონება                   | 7        | 6,663,500            | 6,731,052                              | 6,798,604                           |
| ბიოლოგიური აქტივები                   |          | 238,275              | 238,275                                | 238,275                             |
| არამატერიალური აქტივები               |          | 10,925               | 48,854                                 | 56,579                              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>31,582,714</b>    | <b>35,306,553</b>                      | <b>35,825,753</b>                   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |          |                      |                                        |                                     |
| მარაგები                              | 8        | 29,489,063           | 24,632,811                             | 24,151,635                          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 9        | 16,819,966           | 11,594,992                             | 12,086,263                          |
| გაცემული სესხები                      |          | 85,916               | 106,990                                | 91,113                              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 10       | 863,018              | 369,866                                | 71,047                              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>47,257,963</b>    | <b>36,704,659</b>                      | <b>36,400,058</b>                   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>78,840,677</b>    | <b>72,011,212</b>                      | <b>72,225,811</b>                   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                      |                                        |                                     |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                      |                                        |                                     |
| სააქციო კაპიტალი                      | 11       | 10,354,000           | 10,354,000                             | 10,354,000                          |
| გაუნაწილებელი მოგება                  |          | 43,590,169           | 43,010,273                             | 38,524,271                          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>53,944,169</b>    | <b>53,364,273</b>                      | <b>48,878,271</b>                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                      |                                        |                                     |
| მიღებული სესხები                      | 12       | 14,272,076           | 7,450,082                              | 11,750,181                          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>14,272,076</b>    | <b>7,450,082</b>                       | <b>11,750,181</b>                   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          |                      |                                        |                                     |
| მიღებული სესხები                      | 12       | 5,462,166            | 9,662,064                              | 6,798,917                           |
| საგადასახადო ვალდებულება              |          | 304,203              | 174,290                                | 195,637                             |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 13       | 4,858,063            | 1,360,503                              | 4,602,805                           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>10,624,432</b>    | <b>11,196,857</b>                      | <b>11,597,359</b>                   |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>78,840,677</b>    | <b>72,011,212</b>                      | <b>72,225,811</b>                   |

## სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

### სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                  | შენიშვნა | 2018              | 2017<br>გადაანგარიშებული* |
|--------------------------------------------------|----------|-------------------|---------------------------|
| ამონაგები                                        | 14       | 29,683,105        | 24,250,693                |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება            | 15       | (14,060,740)      | (10,991,236)              |
| <b>საერთო მოგება</b>                             |          | <b>15,622,365</b> | <b>13,259,457</b>         |
| სხვა შემოსავალი                                  | 16       | 1,772,675         | 2,264,946                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                | 17       | (4,162,286)       | (3,259,804)               |
| გაყიდვის დანახარჯები                             | 18       | (1,856,610)       | (1,473,506)               |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი        | 19       | (1,743,659)       | (1,530,716)               |
| ვენახის მოვლის ხარჯები                           |          | (354,654)         | (603,049)                 |
| სხვა ხარჯები                                     | 20       | (610,198)         | (1,142,980)               |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                         |          | <b>8,667,633</b>  | <b>7,514,348</b>          |
| წმინდა ფინანსური ხარჯი                           |          | (816,470)         | (976,701)                 |
| წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან |          | 170,022           | (253,548)                 |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                        |          | <b>8,021,185</b>  | <b>6,284,099</b>          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                        |          | (121,595)         | (111,387)                 |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                  |          | <b>7,899,590</b>  | <b>6,172,712</b>          |

#### მოგება ერთ აქციაზე:

- საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე

4.36

3.40

### ამონაგები

|                          | 2018              | 2017              |
|--------------------------|-------------------|-------------------|
| ამონაგები:               |                   |                   |
| ექსპორტიდან              | 21,634,121        | 16,734,781        |
| ადგილობრივი გაყიდვებიდან | 8,048,984         | 7,515,912         |
| <b>სულ ამონაგები</b>     | <b>29,683,105</b> | <b>24,250,693</b> |

### რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                                  | 2018                | 2017                |
|--------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:           |                     |                     |
| ექსპორტისთვის                                    | (9,990,424)         | (7,475,135)         |
| ადგილობრივი გაყიდვებისთვის                       | (4,070,316)         | (3,516,101)         |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>(14,060,740)</b> | <b>(10,991,236)</b> |


### ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

|                                                      | 2018               | 2017               |
|------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| ხელფასები                                            | (1,617,412)        | (1,314,004)        |
| პრემიები და ბონუსები                                 | (79,269)           | (188,415)          |
| სხვა                                                 | (46,978)           | (28,297)           |
| <b>სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი</b> | <b>(1,743,659)</b> | <b>(1,530,716)</b> |

2018 წელს სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების მიერ რეალიზებული პროდუქციის ღირებულებამ 29,7 მლნ. ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 23%-ით უსწრებს წინა წლის გაყიდვებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან დინამიურად იზრდებოდა. გაზრდილი შემოსავლები დაფიქსირდა როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში.

#### ცხრილი#1


#### შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან (მლნ. ლარი)



2018 წელს საერთო მოგება 15,7 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება - 8 მლნ ლარი. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში საერთო მოგების მარჟა 53%, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 27% დაფიქსირდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში წმინდა მოგება 2.5-ჯერ, ხოლო საერთო მოგება 1.5-ჯერ გაიზარდა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია საერთო და წმინდა მოგება ბოლო 3 წლის განმავლობაში.

#### ცხრილი#2

#### საერთო და წმინდა მოგება 2016-2018 (მლნ. ლარი)



2017 წელს კომპანიის ROA 9%, ხოლო ROE 12% იყო. საანგარიშო პერიოდში ROA ერთი პროცენტით გაიზარდა და 10% შეადგინა, ხოლო ROE ორი პროცენტით გაიზარდა და 14% შეადგინა.

2018 წელს 3,9 მლნ. ლარის ღირებულების ინვესტიცია განხორციელდა. კომპანიამ საანგარიშო პერიოდში შეიძინა თანამედროვე აპარატურით არჭურვილი სპირტის სახდელი ქარხნის 100%-იანი წილი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასესხო ვალდებულებები 4,5 მლნ. ლარით გაიზარდა, რაც განაპირობა რეალიზაციის ზრდის გამო სანედლეულო ბაზის შევსების აუცილებლობამ. რეალიზაციის 23%-იანმა ზრდამ გამოიწვია მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების ზრდა 1,5 მლნ. ლარით.

### **ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ**

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში საწარმოს საკუთარი აქციები არ ქონდა და 2018 წელს საკუთარი აქციების შეძენა-გასხვისება არ დაფიქსირებულა.

### **სავალდებულო სატენდერო შეთავაზებების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა**

საანგარიშო პერიოდში სატენდერო შეთავაზება არ ყოფილა. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა არ არის დაკავშირებული რაიმე სახის სავალდებულო სატენდერო შეთავაზებებთან.

## **კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული დონისძიებები**

სს სარაჯიშვილში და შვილობილ კომპანიებში მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება, რაც მიზნად ისახავს კონკრეტულ სფეროში სიახლეების გაცნობას, კვალიფიკაციის ამაღლებას და კომპანიაში თანამედროვე მიდგომების დანერგვას. 2018 წელს პროფესიული მომზადება გაიარეს ადამიანური რესურსების მართვის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, იმპორტ-ექსპორტის სამსახურების თანამშრომლებმა.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა მართვის აკადემიაში გაიარა „HR ანალიტიკისა და ოპერაციების“ ტრეინინგი. კურსის მიზანი იყო ბიზნეს საჭიროებაზე მორგებული სისტემების, მეთოდებისა და პროცედურების შექმნა-განვითარება. ადამიანური რესურსების მართვის ახლებური ხედვა, სხვადასხვა მიდგომებისა და სტრატეგიული არმ სისტემის მართვა.

სს სარაჯიშვილის და შვილობილი კომპანიების ბუღალტერმა ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გაიარა ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების - IFRS for SME ტრეინინგი, რაც მიზნად ისახავდა სამეურნეო ოპერაციების ფინანსური სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვას, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას სტანდარტების მიხედვით.

იმპორტ-ექსპორტის მენეჯერმა ქართულ-კანადურ საგანმანათლებლო ცენტრში გაიარა საბაჟოსთან ურთიერთობის სასწავლო კურსი. ტრეინინგის მიზანი იყო კვალიფიკაციის ამაღლება საბაჟო საკითხების ცოდნის თვალსაზრისით და საბაჟო დეპარტამენტში დანერგეილი სიახლეებისა და ინფორმაციების გაცნობა. საანგარიშო პერიოდში სასწავლო კურსებზე გაწეულმა საერთო ხარჯმა 2185 ლარი შეადგინა. 2018 წელს კომპანია შიდა რესურსებით ახორციელებდა სხვადასხვა ბაზრის კვლევას. ამ პერიოდში სს სარაჯიშვილს და შვილობილ კომპანიებს არ მიუციათ შეკვეთა სხვა ფირმისთვის კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით.

## **კორპორაციული მართვა**

სს სარაჯიშვილის და შვილობილი კომპანიების კორპორაციული მართვის მიზანია კომპანიის მმართველობის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, აქციონერთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან.



ს.ს. სარაჯიშვილში კორპორაციულ მმართველობით ორგანოებს წარმოადგენენ აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები.

**აქციონერთა საერთო კრება** საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა, სადაც აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ. საერთო კრება უფლებამოსილია: შეიტანოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში; მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საზოგადოებებთან შერწყმის ან საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ; მიიღოს გადაწყვეტილებები ბირჟაზე აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვების შესახებ; მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერთა მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს; მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში; დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობა; აირჩიოს აუდიტორი; მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით; მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**სამეთვალყურეო საბჭო** შედგება 4 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციაა: კომპანიისა და მის მიერ შექმნილი საწარმოებისა და ფილიალების დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა, მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა; კონტროლი დირექტორების საქმიანობაზე; დირექტორებისაგან საზოგადოების ანგარიშის მოთხოვნა, დაკავშირებულ საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით; საზოგადოების საბუღალტრო წიგნების, ქონებრივი ობიექტების, საღაროს, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შესწავლა და კონტროლი; წლიური ანგარიშებისა და მოგების განაწილების შესახებ დირექტორების მიერ მომზადებული წინადადებების განხილვა და შემოწმება; განხორციელებული შემოწმებისა და დირექტორების მიერ წარმოდგენილი პროექტების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა აქციონერთა საერთო კრებაზე. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა: კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, ასევე მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, ასევე როგორც საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; უძრავი ქონების და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა, გარდა იჯარისა, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია; წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შეთანხმება, გრძელვადიანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება-შეთანხმება; ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ-ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის აქტივების საბალანსო თანხის ათ პროცენტს; სესხების და კრედიტების აღება, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას; ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა; სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა; ხელმძღვანელ თანამშრომელთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა; სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და გამოწვევა.

**დირექტორები** ხელმძღვანელობენ საზოგადოების საქმიანობას, განაგებენ საზოგადოების ქონებასა და სახსრებს, ხსნიან საბანკო დაწესებულებაში ანგარიშს, დებენ ყოველგვარ გარიგებებს და ახორციელებენ სხვა იურიდიულ აქტებს, გაცემენ წერილობით მინდობილობას, განსაზღვრავენ და ამტკიცებენ საზოგადოების მართვის სტრუქტურას, დებულებას და თანამშრომელთა შტატს, სამუშაოზე იღებენ და სამუშაოდან ითხოვენ საზოგადოების თანამშრომლებს, განსაზღვრავენ და ამტკიცებენ ამ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება-წახალისების წესსა და ოდენობას, რაც აისახება მათთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში, ხელმძღვანელობენ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენენ დასამტკიცებლად წლიურ ანგარიშსა და მოგების განაწილების წინადადებებს, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების აღების გეგმებს, ახორციელებენ სხვა ნებისმიერ მოქმედებას საზოგადოების მიზნების მისაღწევად, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც აქციონერთა კრების და სამეთვალყურეო საბჭოს

კომპეტენციას განეკუთვნება. საზოგადოების ხელმძღვანელობა ევალებათ გენერალურ, ადმასრულებელ და ფინანსურ დირექტორებს, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კი გენერალურ და ადმასრულებელ დირექტორებს. დირექტორები ინიშნებიან (თავისუფლდებიან) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დირექტორები ინიშნებიან და თავისუფლდებიან სამუშაოდან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭო არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით და შედგება 4 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან საბჭოს სხდომაზე არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და შიდა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 3 წევრისგან. დირექტორთა საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად, არანაკლებ 2 სხდომისა თვეში. დირექტორთა საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას აკონტროლებს ადმასრულებელი დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ერთი სხდომისა ყოველკვარტალურად. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 9 სხდომა. სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში შეისწავლა 10 საკითხი. შიდა აუდიტის კომიტეტის ნახევარწლიური და წლიური მუშაობის შესახებ ინფორმაციები განხილულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე და იგი გადაეცა დირექტორატს.


საზოგადოების აქციონერებს საზოგადოების მიმართ აქვთ უფლებათა ერთობლიობა, რომელთა შესრულებასა და დაცვას უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და კომპანიის გენერალური დირექტორი. აქციონერთა საერთო კრება წარიმართება იმგვარად, რომ ყველა აქციონერმა შეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება. ხმების დათვლა ხორციელდება გამჭვირვალედ და თითოეული მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი აისახება კრების ოქმში. აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ წმინდა მოგების ნაწილი დივიდენდის სახით. კომპანია ვალდებულია იღებს გადაიხადოს გაცხადებული დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილ ფარგლებში შესაბამისი პერიოდულობით.

2018 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელმა 173 ადამიანი შეადგინა. ორგანიზაციული სტრუქტურა ფუნქციური ხასიათისაა, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს:

1. ოპერაციული მიმართულება;
2. ფინანსური მიმართულება;
3. ადმინისტრაციული მიმართულება;
4. მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულება.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურული ქვედანაყოფები.

**დიაგრამა #1**




## სარეაქციო ბაზრები

2018 წლის გაყიდვებში 27% ადგილობრივ, ხოლო 73% საექსპორტო ბაზრებს ეკავა. საანგარიშო პერიოდში კომპანიის პროდუქცია 19 საექსპორტო ქვეყანაში იყო წარმოდგენილი.



2018 წელს ოთხი უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი იყო: ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი და რუსეთი. ამ ქვეყნების საერთო წილმა ექსპორტის 89% შეადგინა.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2018 წელს ქვეყნიდან ბრენდის ექსპორტის ღირებულების 18% სს სარაჯიშვილის და შვილობილი კომპანიების პროდუქციას ეჭირა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია 2018 წელს ღვინის ბრენდის ექსპორტის შესახებ.

| საქართველო 2018                          | სარაჯიშვილი 2018                       |
|------------------------------------------|----------------------------------------|
| რუსეთი - 4,745,046 ლიტრი (19,920,040\$)  | ბელარუსი - 521,000 ლიტრი (2,587,100\$) |
| უკრაინა - 4,090,776 ლიტრი (15,648,418\$) | უკრაინა - 303,671 ლიტრი (1,382,519\$)  |
| ბელარუსი - 826,989 ლიტრი (4,023,598\$)   | ყაზახეთი - 267,713 ლიტრი (1,377,272\$) |



## კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა და გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან

კომპანია იყენებს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკას და არ ხელმძღვანელობს რომელიმე კონკრეტული კოდექსით.

### ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენენ შემდეგი რისკ ფაქტორები:

- საექსპორტო ბაზრებზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა;
- ადგილობრივ ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და სამომხმარებლო ბაზრის ცვლილება;
- ნედლეულის ფასების ცვლილება;
- კანონმდებლობის ცვლილება.

კომპანიის შემოსავლების 70%-ზე მეტი საექსპორტო ბაზრებზე მოდის, სადაც დიდი წილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკავიათ. ბოლო წლების განმავლობაში ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა არ იყო მდგრადი. ადგილი ქონდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მკვეთრ ცვლილებებს, ეროვნული ვალუტების დევალვაციას, ინფლაციას, უმუშევრობის დონის მერყეობას და ა.შ. მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მკვეთრად აისახება სს სარაჯიშვილის და შვილობილი კომპანიების გაყიდვების დინამიკაზე. ამ გარე ფაქტორის თავიდან ასაცილებლად კომპანია მუდმივად მუშაობს დივერსიფიცირების მიმართულებით, რაც ახალი - ურთიერთდამოუკიდებელი ბაზრების მოძიებაში მდგომარეობს.

ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის ცვლილება კომპანიისათვის ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებამ, რაც შემდგომში აისახება მომხმარებლის მსყიდველობით უნარიანობაზე, შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება. ამ რისკის ასაცილებლად კომპანია ცდილობს შექმნას დივერსიფიცირებული პროდუქტების პორთფელი. პორთფელის დივერსიფიკაცია გულისხმობს საფასო დიაპაზონის ზრდას, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა შემოსავლების მქონე მომხმარებლებს დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები.

მუდმივ ცვლილებას განიცდის სანედლეულო ბაზარზე არსებული მდგომარეობა. წლიდან წლამდე იცვლება ფასები ნედლეულზე, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით: ნედლეულზე წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდებით და რთველის პროცესში სახელმწიფოს ინტერვენციით. სანედლეულო ბაზარზე ფასების ცვალებადობის თავიდან ასარიდებლად კომპანიამ გააშენა საკუთარი ვენახები. ასევე, მიმდინარეობს მუდმივი კომუნიკაცია მსხვილ მევენახეებთან.

საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლოა იმოქმედოს ადგილობრივი ბაზრის გაყიდვებზე. ბოლო წლებში ადგილი ქონდა აქციზის გადასახადის ცვლილებას, რამაც კომპანიას გადააწყვეტინა მთლიანად შეეჩერებინა არყის წარმოება. ალკოჰოლური სასმელების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან.

## **ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები**

სარაჯიშვილის ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 24 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

### **ზურაბ ბუბუტიშვილი**

-----

სს სარაჯიშვილის აღმასრულებელი დირექტორი

24 ოქტომბერი, 2019

კომპანიის შემოსავლების 70%-ზე მეტი საექსპორტო ბაზრებზე მოდის, სადაც დიდი წილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკავიათ. ბოლო წლების განმავლობაში ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა არ იყო მდგრადი. ადგილი ქონდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მკვეთრ ცვლილებებს, ეროვნული ვალუტების დევალვაციას, ინფლაციას, უმუშევრობის დონის მერყეობას და ა.შ. მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მკვეთრად აისახება სს სარაჯიშვილის გაყიდვების დინამიკაზე. ამ გარე ფაქტორის თავიდან ასაცილებლად კომპანია მუდმივად მუშაობს დივერსიფიცირების მიმართულებით, რაც ახალი - ურთიერთდამოუკიდებელი ბაზრების მოძიებაში მდგომარეობს.

ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის ცვლილება კომპანიისათვის ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებამ, რაც შემდგომში აისახება მომხმარებლის მსყიდველობით უნარიანობაზე, შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება. ამ რისკის ასაცილებლად კომპანია ცდილობს შექმნას დივერსიფიცირებული პროდუქტების პორთფელი. პორთფელის დივერსიფიკაცია გულისხმობს საფასო დიაპაზონის ზრდას, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა შემოსავლების მქონე მომხმარებლებს დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები.

მუდმივ ცვლილებას განიცდის სანედლეულო ბაზარზე არსებული მდგომარეობა. წლიდან წლამდე იცვლება ფასები ნედლეულზე, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით: ნედლეულზე წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდებით და რთველის პროცესში სახელმწიფოს ინტერვენციით. სანედლეულო ბაზარზე ფასების ცვალებადობის თავიდან ასარიდებლად კომპანიამ გააშენა საკუთარი ვენახები. ასევე, მიმდინარეობს მუდმივი კომუნიკაცია მსხვილ მევენახეებთან.

საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლოა იმოქმედოს ადგილობრივი ბაზრის გაყიდვებზე. ბოლო წლებში ადგილი ქონდა აქციზის გადასახადის ცვლილებას, რამაც კომპანიას გადააწყვეტინა მთლიანად შეეჩერებინა არყის წარმოება. ალკოჰოლური სასმელების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან.

#### ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სარაჯიშვილის ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 24 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ბუბუტიშვილი  
სს სარაჯიშვილის აღმასრულებელი დირექტორი  
24 ოქტომბერი, 2019

  
  
გვერდი 17-17





SINCE 1884

**SARAJISHVILI**

ს ა რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი

ს.ს. სარაქიშვილი

მის : ღავით სარაქიშვილის გამზირი N4

ტელ : 032 2 55 44 44

ელ-ფოსტა: [info@sarajishvili.ge](mailto:info@sarajishvili.ge)